ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲧᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲘ ᲔᲜᲓᲔᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

სსიპ კოლეჯი „მერმისი“

ურბანულ ფერმერთა ჰაბი

აღწერა:

ურბანული სოფლის მეურნეობის ექსტრაკულიკულური აქტივობა მიზნად ისახავს კოლეჯის სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მდგრადი მეურნეობის შესახებ და ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას კოლეჯის ეზოში ურბანულ გარემოში ახალი პროდუქტების კულტივირების გზით. ეს ინიციატივა სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკული სწავლის შესაძლებლობებს ურბანული მეურნეობის ტექნიკაში, როგორიცაა კონტეინერების მებაღეობა, ვერტიკალური მეურნეობა და ჰიდროპონიკა, ასევე ხელს უწყობს გარემოზე პასუხისმგებლობის გრძნობას და საზოგადოების ჩართულობას.

ძირითადი კომპონენტები:

პრაქტიკული სწავლება: კლუბის წევრები მიიღებენ მონაწილეობას კოლეჯის ეზოსა და ორანჟერეაში ურბანული სოფლის მეურნეობის პროექტების დიზაინში, მოწყობასა და შენარჩუნებაში. ეს მოიცავს სხვადასხვა კულტურების დარგვას, მოყვანას და მოსავლის აღებას, ნიადაგის მენეჯმენტის, სარწყავი სისტემების და მდგრადი პრაქტიკის შესახებ ცოდნას.

უნარების განვითარება: ამ აქტივობის საშუალებით სტუდენტებს განუვითარდებათ პროექტის მენეჯმენტის, პრობლემების გადაჭრისა და გუნდური მუშაობის ღირებული უნარები. ისინი ასევე მიიღებენ ცოდნას მდგრადი სოფლის მეურნეობის, მდგრადი ქალაქების განვითარების და ადგილობრივი მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

თემის ჩართულობა: პროექტი მოიცავს ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან თანამშრომლობას. სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა გაუზიარონ თავიანთი ცოდნა და პროდუქცია საზოგადოებას, მიიღონ მონაწილეობა საკვების ადგილობრივ ბაზრებში და ჩაერთონ ურბანული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამებში.

საგანმანათლებლო სემინარები: პროგრამა შესთავაზებს ვორქშოფებსა და სემინარებს ისეთ თემებზე, როგორიცაა ურბანული მეურნეობის ტექნიკა, გარემოს მდგრადობა და

ჯანსაღი კვება. ეს სესიები ღია იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე საზოგადოების წევრებისთვის, რაც გაზრდის საგანმანათლებლო გავლენას და ხელს შეუწყობს უფრო ფართო ჩართულობას.

კვლევა და ინოვაცია: სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა შეისწავლონ ურბანული სოფლის მეურნეობის ინოვაციური გადაწყვეტილებები და წვლილი შეიტანონ კვლევით პროექტებში, რომლებიც ორიენტირებულია ურბანული მეურნეობის პრაქტიკის გაუმჯობესებაზე და მდგრადობაზე.

გარემოზე ზემოქმედება: აქტივობა ხაზს გაუსვამს ურბანული სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურ სარგებელს, გაუმჯობესებულ მწვანე სივრცეებს და ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების გაძლიერებას.

კლუბის ძირითადი საქმიანობა:

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; საინტერესო აქტივობების/პროექტების/ვორკშოპების დაგეგმვა და განხორციელება;

კლუბის წევრები შეისწავლიან:

- ხერხებს, თუ როგორ მოიყვანოთ მცირე ფართობზე მეტი ხილი და ბოსტნეული;
- როგორ შექმნათ ვერტიკალური ბაღები ბოსტნეულის და კენკრისთვის;
- როგორ მოიყვანოთ მცენარეები ნიადაგის გარეშე;
- როგორ დაამზადოთ კომპოსტი და გახადოთ თქვენი წარმოება ეკო მეგობრული.
- როგორ შექმნათ სათემო ბაღები და გაიუმჯობესოთ თქვენი ფინანსური მდგომარეობა.

სამიზნე ჯგუფი

- ვისაც აინტერესებს ურბანული სოფლის მეურნეობა;
- ვისთვისაც მნიშვნელოვანია საკვების უვნებლობა და მდგრადობა;
- ვინც აპირებს გააშენოს საკუთარი ურბანული ბაღი;
- ვისაც სურს საკუთარი კარიერა დაუკავშიროს სოფლის მეურნეობას ან გარემოს დაცვას.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@mermisicollege.edu.ge

ტელეფონი: 032 2 14 76 63